ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 12-ს

ქ. თბილისი 09 თებერვალი 2021 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მიერ `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის `ს1 ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული `გამარტივებული შესდყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი~-ს (მე_3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის) შესაბამისად, ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტო" შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, ი/მ ია ხუბაშვილი პ/ნ 31001015859 შორის შემდგომში ,,მიმწოდებელი" ი/მ ია ხუბაშვილი. დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე: (CPV-45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება დეტალური კოდი CPV-45520000 - მიწის სათხრელი მოწყობილობებისა და მათი ოპერატორების დაქირავება).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სსიპ "ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს" კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორიაზე არსებული ღობის ძირში 2000 (ორი ათასი) მეტრზე ექსკავატორით ღრმულების ამოღება ახლი ნერგების დასარგავად.

2.2. შემსყიდველის მოთხოვნისამებრ ,გაუწიოს შესაბამისი მომსახურება ,მის საკუთრებაში არსებული ექსკავატორით (გ/წ 2002 KAMATSU PG28UU-2E) ს/ნ QQ785O19 დღე. მომსახურების 1 (ერთი) დღის ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.

2.3. შემსყიდველის და მომსახურეობის (მიმწოდებელს) შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ი/მ ია ხუბაშვილის საკუთრებაში არსებული ტექნიკის

(ექსკავატორების) გამოყენება ,ხელშეკრულებით **№ 12-ს-ით** გათვალისწინებულ სამუშაოს და ღირებულების ფარგლებში, სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულების მიზნით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4750 (ოთხი ათას შვიდას ორმოცდაათი)** ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით, ელექტრონული ა/ფ წარმოდეგინიდან 10 კალენდარულ დღეში.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს 2021 წლის 09 თებერვლიდან და დაასრულებს 2021 წლის 01 მარტს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია**

6,1,1 წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინოს კომპანიას და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

6,1,2 მოსთხოვოს კომპანიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

6,1,3 გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია

6,2,1 სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების" საფასური, 4.1. პუნქტის მიხედვით;

6,2,2 გამოიყენოს „მომსახურება" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6,2,3 თავად უზრუნველყოს მისი ვებსაიტის პროგრამული დაცვა;

6,2.4. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

6.3.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7,4 ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების კონტროლს განახორციელებს სსიპ ,,ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს" შესყიდვების მენეჯერი ივანე ყურაშვილი.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინსპექტირების პირობები

12.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, შემსყიდველის სააგენტოს სატყეო მეურნეობის და ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ავთანდილ მეტრეველი.
12.2 წინამდებარე ხელშეკრულების 12.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
12.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
12.2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
12.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.

13. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
სსიპ "ველური ბუნების ეროვნული სააგენტო"
გარდაბნის რაიონი სოფ. სართიჭალა
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/კ № 226575024

ი/მ ია ხუბაშვილი
ქ.მცხეთა ქართლის ქ. N18
პ/ნ **31001015859**
ბანკი: ,, თიბისი „
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE33TB7244645064300020

LEPL WILDLIFE NATIONAL AGENCY

Digitally signed by LEPL WILDLIFE NATIONAL AGENCY
Date: 2021.02.09 16:00:16 +04'00'